სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

07 აპრილი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/50

ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/12 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 27 თებერვლის №01-02/40 ბრძანების (ცვლილება - ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 მარტის №01-02/45 ბრძანებით), აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის (№3, 04.04.2026) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს „ბსუ-ს **იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის **27 თებერვლის №01-02/40** ბრძანებით (ცვლილება - ბსუ-ს რექტორის 2026 წლის **06 მარტის №01-02/45 ბრძანებით)** გამოცხადებული და 2026 წლის 3-4 აპრილს ჩატარებული აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგები წინამდებარე დადგენილების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან წინამდებარე დადგენილების **№1 დანართში** მითითებულ ვადებში გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, ასევე აფილირების შეთანხმებები, გამარჯვებული კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი „ბსუ-სთან აფილირების განცხადების“ გათვალისწინებით, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის №07-01/42 გადაწყვეტილებისა და „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/12 გადაწყვეტილების თანახმად.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: „კონკურსები“ და „აკადემიური საბჭოს დადგენილებები“).

4. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, კონკურსში გამარჯვებულ პირებს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არაშიძე**